



შიდა ინსპექტირების ჩატარების პროცედურა

გამოცემა N 01

დამტკიცებულია „ასოციაცია ბუნებრივი ღვინოს“ დირექტორის მიერ:	თარიღი:
ზურაბ მღვდლიაშვილი	15.06.2021

დანიშნულება

წინამდებარე დოკუმენტში აღწერილია „ასოციაცია ბუნებრივი ღვინოს“ მიერ ასოციაციის წევრების მეურნეობებისა და ღვინის მარნების გეგმიური და გაუფრთხილებელი ინსპექტირების ჩატარების, ანგარიშების მომზადების და წარდგენის პროცესი და შესაბამისი ვადები.

გამოყენების სფერო

- ბიოსერტიფიცირების სქემაში ჩართული ასოციაციის წევრების შიდა შემოწმება.

პასუხისმგებელი პირები

- ხარისხის მენეჯერი,
- შიდა ინსპექტორი.

ჩანაწერების ჩამონათვალი

- წევრების სია და შიდა ინსპექტირების განრიგი,
- შიდა ინსპექტირების ჩატარების ფორმა,
- მევენახეობის მეურნეობის შიდა ინსპექტირების ანგარიში,
- მარნის შიდა ინსპექტირების ანგარიში,
- რისკების შეფასების ფორმა,
- შიდა ინსპექტირების შემაჯამებელი ანგარიში,
- შიდა ინსპექტირების შეფასების კითხვარი.

1. ასოციაციის წევრების ინსპექტირების გეგმის შემუშავება

- 1.1. ყოველი წლის დასაწყისში ხარისხის მენეჯერი ადგენს ბიოსერტიფიცირების სქემაში ჩართული წევრების შიდა ინსპექტირების განრიგს, რომელიც მოიცავს როგორც გეგმიურ ასევე გაუფრთხილებელ ინსპექტირებებს (დანართი 1).
- 1.2. ინსპექტირების განრიგის შემუშავებისას ხარისხის მენეჯერი ითვალისწინებს ინტერესთა კონფლიქტის წარმოშობის შესაძლებლობას (იხ. „შიდა ინსპექტირების ქცევის კოდექსი“).
- 1.3. შიდა ინსპექტირების განრიგის შემუშავებისას ხარისხის მენეჯერი ითვალისწინებს გეგმიური და გაუფრთხილებელი ინსპექტირებების ჩატარების მოთხოვნებს (იხ. წინამდებარე პროცედურის მე-2 და მე-3 პუნქტები).
- 1.4. შიდა ინსპექტირების განრიგი მიეწოდება შიდა ინსპექტორებსა და დირექტორს განსახილველად ხარისხის მენეჯერის მიერ ყოველი წლის 30 იანვრამდე.
- 1.5. განრიგის მიწოდებიდან 1 კვირის ვადაში შიდა ინსპექტორებს აქვთ უფლება მოითხოვონ განრიგის ცვლილება შესაბამისი არგუმენტაციის საფუძველზე, მათ შორის „შიდა ინსპექტირების ქცევის კოდექსში“ განსაზღვრული გარემოებების გათვალისწინებით.
- 1.6. ყოველი წლის 15 თებერვლისთვის შიდა ინსპექტორებთან შეთანხმებულ განრიგს ხარისხის მენეჯერი წარუდგენს დირექტორს დასამტკიცებლად.

2. გეგმიური ინსპექტირების ჩატარება

- 2.1. გეგმიური შიდა ინსპექტირების ჩატარება აუცილებელია ბიოსერტიფიცირების სქემაში ჩართული თითოეული წევრის თითოეულ ნაკვეთში/მარანში მინიმუმ წელიწადში ერთხელ.
- 2.2. გეგმიურ ინსპექტირებას ატარებს ასოციაციის შიდა ინსპექტორი.
- 2.3. მევენახეობის მეურნეობის გეგმიური ინსპექტირება ტარდება მეურნეობის მფლობელთან წინასწარ შეთანხმებულ დღეს ვაზის სავგებტაციო პერიოდის განმავლობაში.
- 2.4. მარნის გეგმიური ინსპექტირება შეიძლება ჩატარდეს წლის ნებისმიერ პერიოდში მარნის მფლობელთან წინასწარ შეთანხმებულ დღეს.
- 2.5. გეგმიური ინსპექტირების შესახებ ასოციაციის წევრისთვის ინფორმაციის მიწოდებას უზრუნველყოფს შიდა ინსპექტორი ან დოკუმენტაციის მენეჯერი. ასოციაციის წევრს ინფორმაცია გეგმიური ინსპექტირების შესახებ უნდა მიეწოდოს ვიზიტამდე მინიმუმ 1 კვირით ადრე.
- 2.6. არგუმენტირებული მიზეზის წარდგენის შემთხვევაში წევრს უფლება აქვს გადადოს ვიზიტი მაქსიმუმ 2-ჯერ, თუმცა აუცილებელია, რომ ინსპექტირების ვიზიტი განხორციელდეს მიმდინარე წლის განმავლობაში.
- 2.7. შიდა ინსპექტორს უფლება აქვს ერთ დღეში ჩაატაროს ბიოსერტიფიცირების ჯგუფის მაქსიმუმ სამი წევრის ინსპექტირება. მრავალნაკვეთიანი წევრის ინსპექტირება მოიცავს ყველა ნაკვეთის/ადგილის შემოწმებას.
- 2.8. ინსპექტირების ჩატარებამდე ინსპექტორი ვალდებულია გაეცნოს შესამოწმებელი მეურნეობის/მარნის შესახებ ასოციაციაში არსებულ

ინფორმაციას, მათ შორის ბიოწარმოების გეგმას და წინა ინსპექტირების ანგარიშს.

- 2.9. შიდა ინსპექტირებისას შიდა ინსპექტორი ვიზუალურად ათვალიერებს ვენახს/მარანს, ესაუბრება პასუხისმგებელ პირებს და აგროვებს მონაცემებს შიდა ინსპექტირების ანგარიშისთვის (დანართები 3, 4).
- 2.10. შიდა ინსპექტირებისას ინსპექტორი ათვალიერებს მეურნეობის/მარნის ყველა ადგილს, სათავსებს, საწარმოო ინვენტარს, აღჭურვილობას, შესაფუთ მასალასა და სხვა დამხმარე საშუალებებს.
- 2.11. წევრის მიერ ბიოწარმოების ქმედებების განხორციელების დასტურად ინსპექტორი ამოწმებს ასოციაციის მიერ დამტკიცებული ჩანაწერების წარმოების ფაქტს.
- 2.12. ინსპექტირების დასრულებისას ორივე მხარე ხელს აწერს შიდა ინსპექტირების ჩატარების ფორმას (დანართი 2).
- 2.13. იმ შემთხვევაში, თუ ასოციაციის წევრი, ვისაც ჩაუტარდა შიდა ინსპექტირება, არ ეთანხმება შიდა ინსპექტორის შეფასებას, ის თავის მოსაზრებას აფიქსირებს „პასუხისმგებელი პირის კომენტარის“ ველში. დავების შემთხვევებს განიხილავს ხარისხის მენეჯერი, რომელმაც შესაძლებელია ადგილზე მოინახულოს მეურნეობა ან/და მარანი, შესაბამის წევრს მოსთხოვოს დამატებითი დოკუმენტაციის/მტკიცებულების წარმოდგენა ან განახორციელოს სხვა საჭირო ქმედებები. დავის თითოეული შემთხვევა განიხილება ინდივიდუალურად.

3. გაუფრთხილებელი ინსპექტირების ჩატარება

- 3.1. გაუფრთხილებელ ინსპექტირებას ატარებს ასოციაციის შიდა ინსპექტორი.
- 3.2. გაუფრთხილებელი შიდა ინსპექტირება ტარდება ბიოსერტიფიცირების სქემაში ჩართული ჯგუფის წევრების მინიმუმ 10%-თან.
- 3.3. გაუფრთხილებელი ინსპექტირება ტარდება იმ მეურნეობაში/მარანში, რომელიც მაღალი რისკის მაჩვენებლით შეფასდა გეგმიური ინსპექტირებისას ჩატარებული რისკის შეფასების საფუძველზე.
- 3.4. გაუფრთხილებელი ინსპექტირება შესაძლებელია ჩატარდეს მეურნეობის/მარნის მფლობელის ან მისი პასუხისმგებელი წარმომადგენლის ადგილზე არყოფნის შემთხვევაშიც, თუ ეს ტექნიკურად შესაძლებელია (მაგ. ვენახის/ნაკვეთის დათვალიერება).
- 3.5. კონკრეტული შემთხვევიდან/მიზნიდან გამომდინარე გაუფრთხილებელი ინსპექტირებისას ხდება ყველა მოთხოვნის შემოწმება (გეგმიური ინსპექტირების მსგავსად) ან კონკრეტული მოთხოვნ(ებ)ის შესრულების გადამოწმება.
- 3.6. კონკრეტული ინფორმაციის გათვალისწინებით გაუფრთხილებელი ინსპექტირება ასევე შესაძლებელია ჩატარდეს ხარისხის მენეჯერის გადაწყვეტილების საფუძველზე ისეთ მეურნეობაში/მარანში, რომელიც არ იქნა გათვალისწინებული მიმდინარე წლის ინსპექტირებების განრიგში.

4. შიდა ინსპექტორების ქცევის წესი

- 4.1. შიდა ინსპექტირებისას ინსპექტორების ქცევის წესი აღწერილია „შიდა ინსპექტორების ქცევის კოდექსში“.

5. ანგარიშგება

- 5.1. შიდა ინსპექტირების ჩატარებიდან 10 დღის ვადაში შიდა ინსპექტორი წარუდგენს ხარისხის მენეჯერს დეტალურად შევსებულ შიდა ინსპექტირების ანგარიშს (დანართები 3, 4). შიდა ინსპექტირების ანგარიშს თან ერთვის ინსპექტირების მსვლელობისას გადაღებული ფოტომასალა და წარმოდგენილი ჩანაწერების/საბუთების ასლები.
- 5.2. ინსპექტირების ჩატარებიდან 10 დღის ვადაში შიდა ინსპექტორი ხარისხის მენეჯერს ასევე წარუდგენს მეურნეობის/მარნის რისკების შეფასების შევსებულ ფორმას (დანართი 5).
- 5.3. თითოეული წევრის ბიოწარმოების რისკების შეფასება ეფუძნება კონკრეტული რისკფაქტორის წარმოშობის ალბათობისა და მიღებული ზიანის სიმწვავის განსაზღვრას.
- 5.4. შიდა ინსპექტირების ანგარიშის მიღებიდან 10 დღის ვადაში ხარისხის მენეჯერი განიხილავს წარმოდგენილ ანგარიშს. საჭიროების შემთხვევაში ხარისხის მენეჯერი შეიტანს ცვლილებებს შეთავაზებულ მაკორექტირებელ ქმედებებში და სანქციებში და დასრულებულ ანგარიშს უგზავნის შესაბამის წევრს გასაცნობად. ანგარიშის ასლი ინფორმაციისთვის ასევე ეგზავნება დირექტორს.
- 5.5. ანგარიშში მითითებული მაკორექტირებელი ქმედებების შესრულების ვადის გასვლის შემდეგ ბიოსერტიფიცირების ჯგუფის წევრი უგზავნის შიდა ინსპექტორს (თუ ხარისხის მენეჯერს?) მაკორექტირებელი ქმედების შესრულების დასტურს (მაგ., დოკუმენტის/ჩანაწერის ასლი, ფოტო, ა.შ.). დასტურის გამოგზავნის შეუძლებლობის შემთხვევაში ან მაკორექტირებელი ქმედების შესრულების ეფექტიანობის ადგილზე გადამოწმების აუცილებლობის შემთხვევაში შიდა ინსპექტორმა შესაძლებელია განახორციელოს დამატებითი ინსპექტირება ჯგუფის წევრთან წინასწარ შეთანხმებით ან გაუფრთხილებლად.
- 5.6. ბიოსერტიფიცირების ჯგუფის წევრების შიდა ინსპექტირების პროცესის დასრულების შემდეგ ხარისხის მენეჯერი ამზადებს შემაჯამებელ ანგარიშს (დანართი 6) და ცალკეული წევრის შიდა ინსპექტირების ანგარიშებთან ერთად უგზავნის სერტიფიცირების ორგანოს მაქსიმუმ 2 სამუშაო დღის ვადაში, მაგრამ არაუგვიანეს 2 კვირით ადრე გარე სერტიფიცირების თარიღამდე.

6. შიდა ინსპექტორების შეფასება

- 6.1. შიდა ინსპექტორების კომპეტენციის შეფასების მიზნით შიდა ინსპექტირების პროცესის დასრულების შემდეგ დოკუმენტაციის მენეჯერი უგზავნის ბიოსერტიფიცირების ჯგუფის წევრებს შიდა ინსპექტორების შეფასების კითხვარს (დანართი 7) და უზრუნველყოფს წევრების მიერ ამ კითხვარის დროულად შევსებას.
- 6.2. დოკუმენტაციის მენეჯერი წევრების მიერ შევსებულ კითხვარებს უგზავნის ხარისხის მენეჯერს ანალიზისთვის.

- 6.3. შევსებული კითხვარების მონაცემების ანალიზის საფუძველზე ხარისხის მენეჯერი, საჭიროების შემთხვევაში, წარუდგენს დირექტორს რეკომენდაციას ინსპექტირების შეცვლის ან მათთვის კონკრეტულ საკითხებში ტრენინგის ჩატარების თაობაზე (იხ. ასოციაციის თანამშრომლების შერჩევის და ტრენინგის პროცედურა).

დანართი 1 - წევრების სია და შიდა ინსპექტირების განრიგი

საინსპექციო წელი _____

N	წევრის სახელი	საკონტაქტო ინფორმაცია (მისამართი, ტელეფონი, ელ.ფოსტა)	ნაკვეთების / ადგილების რაოდენობა	სერტიფიცირების სქემაში თითოეული ნაკვეთის ჩართვის თარიღი	თითოეული ნაკვეთის ფართობი და ნაკვეთზე გაშენებული ჯიშები	გეგმიური ინსპექტირების ჩატარების პერიოდი	გაუფრთხილებელი ინსპექტირების ჩატარების პერიოდი

მომზადებულია ხარისხის მენეჯერის მიერ: _____

თარიღი: _____

დამტკიცებულია დირექტორის მიერ: _____

თარიღი: _____

დანართი 2 - ინსპექტირების ჩატარების ფორმა

<p>ასოციაციის წევრი, ვისაც ჩაუტარდა შიდა ინსპექტირება (იურიდიული პირის დასახელება):</p>	<p>შიდა ინსპექტორის სახელი, გვარი:</p>
<p>მფლობელის ან პასუხისმგებელი პირის სახელი გვარი (ვინც ესწრებოდა შიდა ინსპექტირებას):</p>	<p>ინსპექტირების ადგილი:</p>
	<p>ინსპექტირების დასრულების თარიღი და დრო:</p>
<p>პასუხისმგებელი პირი ადასტურებს, რომ:</p> <p><input type="checkbox"/> მეურნეობის ყველა ნაკვეთი შემოწმდა;</p> <p><input type="checkbox"/> მეურნეობის ყველა ნაკვეთის შემოწმება ვერ მოხერხდა შემდეგი მიზეზით:</p> <p>_____</p> <p><input type="checkbox"/> მარანი სრულად შემოწმდა;</p> <p><input type="checkbox"/> მარნის სრულად შემოწმება ვერ მოხერხდა შემდეგი მიზეზით:</p> <p>_____</p> <p><input type="checkbox"/> ინსპექტირებისას მოპოვებული ინფორმაცია შეესაბამება სიმართლეს.</p> <p><input type="checkbox"/> ინსპექტირებისას დადგინდა შემდეგი სახის ინფორმაციის საჭიროება:</p> <p><input type="checkbox"/> ინსპექტირების შედეგად დაფიქსირდა შემდეგი შეუსაბამობები:</p> <ol style="list-style-type: none"> 1. 2. 3. 4. 5. 	
<p>ბიოწარმოების გეგმის შედგენის თარიღი და გამოცემის N :</p>	
<p>პასუხისმგებელი პირის კომენტარი:</p>	
<p>მფლობელის ან პასუხისმგებელი პირის ხელმოწერა:</p>	<p>შიდა ინსპექტორის ხელმოწერა:</p>

დანართი 3 - მევენახეობის მეურნეობის ინსპექტირების ანგარიში

1. ზოგადი ინფორმაცია					
ასოციაციის წევრი იურიდიული პირის დასახელება	ნაკვეთების ადგილმდებარეობა (მუნიციპალიტეტი, სოფელი, ზვარი)		სერტიფიცირებაზე პასუხისმგებელი პირი		
მფლობელის სახელი, გვარი					
იურიდიული მისამართი:					
ტელეფონი:					
ელ. ფოსტა:					
ვენახ(ებ)ის საკუთრების დამადასტურებელი საბუთი ხელმისაწვდომია თუ არა?			დიახ	<input type="checkbox"/>	
საკადასტრო გეგმა და ამონაწერი საჯარო რეესტრიდან			არა	<input type="checkbox"/>	
2. ბიოსტანდარტის ცოდნა					
წევრს გააჩნია ასოციაცია „ბუნებრივი ღვინოს“ სახელმძღვანელო, რომლითაც აღიარებულია ბიოსტანდარტის მოთხოვნები.			დაბეჭდილი	<input type="checkbox"/>	
			ელექტრონული	<input type="checkbox"/>	
			არ გააჩნია	<input type="checkbox"/>	
წევრმა და მისმა შესაბამისმა პერსონალმა იცის სახელმძღვანელოს/ბიოსტანდარტის მთავარი მოთხოვნები.			დიახ	<input type="checkbox"/>	
			ნაწილობრივ	<input type="checkbox"/>	
			არა	<input type="checkbox"/>	
პასუხისმგებელ პირს გააჩნია შესაბამისი ცოდნა ბიოწარმოების პრინციპებისა და მეთოდების შესახებ.			დიახ	<input type="checkbox"/>	
			ნაწილობრივ	<input type="checkbox"/>	
			არა	<input type="checkbox"/>	
3. წინა შიდა ინსპექტირებისას განსაზღვრული მაკორექტირებელი ქმედებები				არ ეხება	<input type="checkbox"/>
მაკორექტირებელი ქმედებები	შესრულებაზე პასუხისმგებელი პირი	შესრულდა დროულად		დამატებითი კომენტარისთვის იხილეთ დანართი #	
		დიახ	არა		
		<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>		
		<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>		
4. მევენახეობის მეურნეობის აღწერა					
მოკლედ აღწერეთ მევენახეობის მეურნეობის წინა ისტორია:					

მოკლედ აღწერეთ მევენახეობის მეურნეობის წინა ისტორია:

ძირითადი საქმიანობა:

ცვლილებები წინა წლის ინსპექტირების (ასოციაცია ბუნებრივი ღვინო) შემდეგ:

ბიოსერტიფიცირების (კავკასსერტი, დემეტერი და სხვა) პროცესში მონაწილეობა:

გარე ინსპექტირების (კავკასსერტი, დემეტერი და სხვა) შედეგები:

შიდა ინსპექტორის შეფასებით, მიმდინარე წელს მოსალოდნელი მოსავლის რაოდენობა:

სხვა მნიშვნელოვანი მონაცემები:

5. ჩანაწერების სისტემა და მიკვლევადობა

სასოფლო-სამეურნეო პრეპარატების გამოყენება ფიქსირდება ჩანაწერებში	დიახ <input type="checkbox"/> არა <input type="checkbox"/>
ჩანაწერები უზრუნველყოფს ყველა გამოყენებული სასოფლო-სამეურნეო პრეპარატების მიკვლევადობას.	დიახ <input type="checkbox"/> არა <input type="checkbox"/>
მოსავლის რაოდენობის შესახებ ინფორმაცია ასახულია თუ არა ჩანაწერებში?	დიახ <input type="checkbox"/> არა <input type="checkbox"/>
არსებული ჩანაწერების სისტემა (ნედლეულის/მასალების შეძენის, საწყობებში მარაგების მოძრაობისა და გაყიდვების ჩანაწერები) იძლევა ბიოწარმოების ადვილად შეფასების შესაძლებლობას. ჩანაწერებით შესაძლებელია ბიო და არაბიო წარმოების მიკვლევა.	დიახ <input type="checkbox"/> არა <input type="checkbox"/> ნაწილობრივ <input type="checkbox"/>
<u>ინსპექტორის კომენტარი:</u>	
დანაწევრებული წარმოების შემთხვევაში იგი შესაბამისად დოკუმენტირებულია.	დიახ <input type="checkbox"/> არა <input type="checkbox"/> არეხება <input type="checkbox"/>
ბიო/გარდამავალი/ბუფერული ნაკვეთების შემთხვევაში უზრუნველყოფილია შესაბამისი სეპარირება და მიკვლევადობა.	დიახ <input type="checkbox"/> არა <input type="checkbox"/> არეხება <input type="checkbox"/>
შეაფასეთ არსებული ჩანაწერების სისტემა. ასევე მიუთითეთ ყველა ის ფაქტი, რომელიც ჩანაწერების წარმოების სისტემასთან დაკავშირებით დააფიქსირეთ ინსპექტირებისას.	
მიუთითეთ ყველა დოკუმენტი/ჩანაწერი, რომლის გადამოწმება მოხდა შიდა ინსპექტირებისას.	

ჩანაწერების წარმოების სისტემასთან დაკავშირებით მიუთითეთ ხარვეზები/შეუსაბამოებები და შესაძლო მაკორექტირებელი ქმედებები.

შეუსაბამობა:

მაკორექტირებელი ქმედება:

6. მიწის ნაკვეთები

ყველა ნაკვეთი ჩამოთვლილია ასოციაცია „ბუნებრივი ღვინის“ წევრობის განაცხადში ასახულ ნაკვეთების ჩამონათვალში	დიახ <input type="checkbox"/>
	არა <input type="checkbox"/>

რამდენი ვენახი აქვს ამჟამად წევრს?

ვენახების ჯამური ფართობი

ნაკვეთების პარამეტრები და ინფორმაცია შეესაბამება ასოციაცია „ბუნებრივი ღვინის“ წევრობის განაცხადში ასახულ ნაკვეთების პარამეტრებს/ინფორმაციას	დიახ <input type="checkbox"/>
	არა <input type="checkbox"/>

ინსპექტორის კომენტარი:

წარმოადგინა თუ არა ნაკვეთის (ნაკვეთების) რუკები - საკადასტრო რუკის სახით ან ხელით დახაზული?	დიახ <input type="checkbox"/>
	არა <input type="checkbox"/>

ნაკვეთების რუკებზე მონიშნულია თუ არა ყველა ბუფერული ზონა.	დიახ <input type="checkbox"/>
	არა <input type="checkbox"/>
	არ ეხება <input type="checkbox"/>

ბუფერული ზონების სიდიდე საკმარისია.	დიახ <input type="checkbox"/>
	არა <input type="checkbox"/>
	არ ეხება <input type="checkbox"/>

აღწერეთ ყველა ნაკვეთი, რომელიც მონახულეთ და შეამოწმეთ. მიუთითეთ ყველა საკითხი, რომლის გადამოწმება მოხდა შიდა ინსპექტირებისას [ფართობი, ჯიში/ჯიშები, ნერგების რაოდენობა, ბუფერული ზონების საჭიროება, საკუთრების ფორმა და სხვა მნიშვნელოვანი საკითხი].

ამ გრაფაში აღწერილი ვენახების აღწერის თანმიმდევრობა უნდა ემთხვეოდეს წევრის მიერ ასოციაციის განაცხადში წარმოდგენილ ვენახების თანმიმდევრობას:

ვენახი I -

ვენახი II -

ვენახი III -

ვენახი IV -

მიუთითეთ თქვენი ზოგადი შეფასება მიწის ნაკვეთების მართვასთან დაკავშირებით.

<p>დანაწევრებული წარმოების შემთხვევაში მიუთითეთ თქვენი მოსაზრება დანაწევრებული წარმოების შესახებ. აღწერეთ შიდა ინსპექტირებისას შემოწმებული თითოეული ნაკვეთი, მიუთითეთ ყველა გადამოწმებული საკითხი და დაფიქსირებული ფაქტი ან თვალსაჩინოება.</p>	
<p>ნაკვეთების მართვასთან დაკავშირებით მიუთითეთ ხარვეზები/შეუსაბამოებები და შესაძლო მაკორექტირებელი ქმედებები.</p>	
<p>შეუსაბამობა: მაკორექტირებელი ქმედება:</p>	
<p>7. ნიადაგის ნაყოფიერება და მცენარეთა კვება</p>	
<p>ნიადაგის ნაყოფიერების შესანარჩუნებლად გამოიყენება პარკოსანი საფარი კულტურები და სხვა ნებადართული საშუალებები.</p>	<p>დიახ <input type="checkbox"/> არა <input type="checkbox"/></p>
<p>აზოტის შემცველი ბუნებრივი სასუქის გამოყენებისას აზოტის შეტანის ლიმიტი დაცულია.</p>	<p>დიახ <input type="checkbox"/> არა <input type="checkbox"/></p>
<p>მცენარეთა გამოკვება და ნიადაგის ნაყოფიერებაზე ზრუნვა ხორციელდება მხოლოდ ასოციაციის მიერ დაშვებული საშუალებებით, შესაბამისი დოზირების მოთხოვნების დაცვით.</p>	<p>დიახ <input type="checkbox"/> არა <input type="checkbox"/></p>
<p>გამოყენებული წარმოების წესი უზრუნველყოფს ნიადაგის, წყლის და მოსავლის დაბინძურების პრევენციას, აგრეთვე ნიადაგის ეროზიის მინიმუმამდე დაყვანას.</p>	<p>დიახ <input type="checkbox"/> არა <input type="checkbox"/></p>
<p>აღწერეთ ნაკვეთებში ნიადაგის ნაყოფიერებისა და მცენარეთა კვების მართვის მდგომარეობა.</p>	
<p>დანაწევრებული წარმოების შემთხვევაში აღწერეთ თქვენი ზოგადი მოსაზრება დანაწევრებული წარმოების შესახებ.</p>	
<p>ნიადაგის ნაყოფიერებასთან დაკავშირებით მიუთითეთ ხარვეზები/შეუსაბამოებები და შესაძლო მაკორექტირებელი ქმედებები.</p>	
<p>8. დაავადებები და მავნებლების კონტროლი</p>	
<p>ჩამოთვალეთ ძირითადი სარეველები:</p>	
<p>ჩამოთვალეთ ძირითადი მავნებლები:</p>	
<p>ჩამოთვალეთ ძირითადი დაავადებები:</p>	
<p>აღწერეთ მავნებლების და დაავადებების კონტროლის პრაქტიკა. მიუთითეთ, რა პრეპარატებია გამოყენებული მავნებლებისა და დაავადებების წინააღმდეგ.</p>	
<p>დანაწევრებული წარმოების შემთხვევაში მიუთითეთ თქვენი მოსაზრება დანაწევრებული წარმოების თაობაზე.</p>	

შესაწამლი აპარატის რეცხვა უზრუნველყოფილია (ეს ინფორმაცია მნიშვნელოვანია იმ შემთხვევაში, როცა გამოიყენება სხვის მფლობელობაში არსებული აპარატი ან ხდება საკუთარი აპარატის გამოყენება სხვის მიერ), რაც დასტურდება შესაწამლი აპარატის რეცხვის შესახებ ჩანაწერებით.	დიახ <input type="checkbox"/>
	არა <input type="checkbox"/>
	არ ეხება <input type="checkbox"/>

მიუთითეთ ყველა საკითხი, რომელიც გადაამოწმეთ შიდა ინსპექტირებისას და ყველა დაფიქსირებული თვალსაჩინოება.

შემნილი პრეპარატების ზედნადებები ხელმისაწვდომია თუ არა სრულად:
ვენახის მოვლის ჩანაწერებში წამლობის შესახებ ინფორმაცია:
სპილენძის დოზა აჭარბებს თუ არა დადგენილ ნორმას (1 ჰა ფართობზე 6 კგ):
სათავსოში არსებული მდგომარეობა და პრეპარატების ნაშთები ან გამოყენებული პრეპარატების ცარიელი შეფუთვები:
სხვა მნიშვნელოვანი საკითხი/საკითხები:

დაავადებებთან და მავნებლების კონტროლთან დაკავშირებით მიუთითეთ ხარვეზები/შეუსაბამოები და შესაძლო მაკორექტირებელი ქმედებები.

9. შეუსაბამოები და მაკორექტირებელი ქმედებები

შეუსაბამოა	შეთავაზებული მაკორექტირებელი ქმედება ან სანქცია	შესრულების ვადა

10. ინსპექტირებისას ხელმიუწვდომელი დოკუმენტები და ადგილები, მათ შორის სათავსები

ჩამოთვალეთ შიდა ინსპექტირებისას ხელმიუწვდომელი დოკუმენტაცია.

11. შემაჯამებელი დასკვნა

შიდა ინსპექტირებისას აღმოჩნდა თუ არა ისეთი შეუსაბამოა, რომელიც ბიო სერტიფიცირების თვალსაზრისით ასოციაციის მხრიდან დაუყოვნებლივ რეაგირებას ან სასერტიფიკაციო ორგანოსთვის შეტყობინების გაგზავნას მოითხოვს? დადებითი პასუხის შემთხვევაში დეტალურად აღწერეთ შეუსაბამოა.	დიახ <input type="checkbox"/>
	არა <input type="checkbox"/>

შიდა ინსპექტირების ჩატარების პროცედურა
გამოცემა 01. დამტკიცების თარიღი:

ინსპექტირების ჩატარების თარიღი:	
ინსპექტირების ანგარიშის მომზადების თარიღი:	
შიდა ინსპექტორის ხელმოწერა:	

12. დანართები (მიუთითეთ შიდა ინსპექტირებისას მოპოვებული ყველა დოკუმენტი/ჩანაწერი/მტკიცებულება/ფოტო)	დანართის N

დანართი 4 - მარნის შიდა ინსპექტირების ანგარიში

1. ზოგადი ინფორმაცია				
ასოციაციის წევრი იურიდიული პირის დასახელება		სერტიფიცირებაზე პასუხისმგებელი პირის სახელი, გვარი		
მფლობელის სახელი, გვარი				
მარნის ფაქტობრივი მისამართი:				
ტელეფონი:				
ელ. ფოსტა:				
მარნის საკუთრების დამადასტურებელი საბუთი ხელმისაწვდომია (მიუთითეთ საბუთის სახეობა)				დიახ <input type="checkbox"/> არა <input type="checkbox"/>
საკადასტრო გეგმა და ამონაწერი საჯარო რეესტრიდან				
2. ბიოსტანდარტის ცოდნა				
წევრს გააჩნია ასოციაცია „ბუნებრივი ღვინოს“ სახელმძღვანელო, რომელშიც განსაზღვრული მეღვინეობის მოთხოვნები უფრო მკაცრია ვიდრე ევროკავშირის ბიოსტანდარტის მოთხოვნები.				დაბეჭდილი <input type="checkbox"/> ელექტრონული <input type="checkbox"/> არ გააჩნია <input type="checkbox"/>
მეწარმემ და მისმა პერსონალმა იცის ბუნებრივი ღვინის წარმოების მთავარი მოთხოვნები.				დიახ <input type="checkbox"/> ნაწილობრივ <input type="checkbox"/> არა <input type="checkbox"/>
3. წინა ინსპექტირებისას განსაზღვრული მაკორექტირებელი ქმედებები				არ ეხება <input type="checkbox"/>
მაკორექტირებელი ქმედებები	შესრულებაზე პასუხისმგებელი პირი	შესრულდა დროულად		დამატებითი კომენტარისთვის იხილეთ დანართი N
		დიახ	არა	
		<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	
		<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	
		<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	
		<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	
4. ღვინის წარმოებაში გამოყენებული პროდუქტები, ნივთიერებები და მეთოდები				
ჩამოთვალეთ ღვინის წარმოებისას გამოყენებული ყველა პროდუქტი, მათ შორის ნედლეული, ნივთიერებები.				
მოსავლის მიღებისას, რა რაოდენობის ყურძენი დაიწურა და რა რაოდენობის ღვინო დადგა?				

ღვინის წარმოებისას გამოიყენება მხოლოდ ასოციაციის სახელმძღვანელოთი დაშვებული მეთოდები.	დიახ <input type="checkbox"/> არა <input type="checkbox"/>
ღვინის წარმოებისას გამოიყენება გაციების/გათობის მეთოდით.	დიახ <input type="checkbox"/> არა <input type="checkbox"/>
რა ტემპერატურაზე მოხდა გათობა _____ რა ტემპერატურაზე მოხდა გაციება _____	დიახ <input type="checkbox"/> არა <input type="checkbox"/>
ღვინის ჩამოსხმის წინ გამოყენებულია მექანიკური ფილტრაცია ? დადებითი პასუხის შემთხვევაში, ფილტრის ზომა	დიახ <input type="checkbox"/> არა <input type="checkbox"/> არ ეხება <input type="checkbox"/>
აღწერეთ მარანი, მიუთითეთ ყველა საკითხი, რომელიც შიდა ინსპექტირებისას გადაამოწმეთ და ყველა ფაქტი/თვალსაჩინოება, რაც დააფიქსირეთ.	
გამოყენებულ ნედლეულთან, ნივთიერებებთან და მეთოდებთან დაკავშირებით მიუთითეთ ხარვეზები/შეუსაბამოებები და შესაძლო მაკორექტირებელი ქმედებები.	
5. ჩანაწერების სისტემა და მიკვლევადობა	
ღვინის წარმოებისას გამოყენებული ყველა პროდუქტი და მასალა ფიქსირდება ჩანაწერებში და ჩანაწერები უზრუნველყოფს ყველა გამოყენებული მასალის მიკვლევადობას.	დიახ <input type="checkbox"/> არა <input type="checkbox"/>
არის თუ არა ღვინოები ნიშანდებული მარანში (მოსავლის წლის, ადგილწარმოშობის და ყურძნის ჯიშის მითითებით)	დიახ <input type="checkbox"/> არა <input type="checkbox"/>
არსებული ჩანაწერების სისტემა (ნედლეულის/მასალების შეძენის, ღვინის წარმოების, მარაგების მოძრაობისა და გაყიდვების ჩანაწერები) იძლევა ბიოწარმოების ადვილად შეფასების შესაძლებლობას. ჩანაწერებით შესაძლებელია ბიო, გარდამავალი, ბუფერული და არაბიო წარმოების მიკვლევა.	დიახ <input type="checkbox"/> არა <input type="checkbox"/>
პარალელური წარმოების შემთხვევაში იგი შესაბამისად დოკუმენტირებულია. პარალელური წარმოების შემთხვევაში უზრუნველყოფილია შესაბამისი სეპარირება და მიკვლევადობა.	დიახ <input type="checkbox"/> არა <input type="checkbox"/> არ ეხება <input type="checkbox"/>
აქვს თუ არა მარნის გეგმა/ნახაზი, სადაც აღნიშნული იქნება საღვინე ჭურჭლის ადგილმდებარეობა, რაოდენობა და ტევადობები?	დიახ <input type="checkbox"/> არა <input type="checkbox"/>
შეაფასეთ არსებული ჩანაწერების სისტემა. ასევე მიუთითეთ ყველა ის ფაქტი, რომელიც ჩანაწერების წარმოების სისტემასთან დაკავშირებით დააფიქსირეთ ინსპექტირებისას.	
მიუთითეთ ყველა დოკუმენტი/ჩანაწერი, რომლის გადამოწმება მოხდა შიდა ინსპექტირებისას.	
ჩანაწერების წარმოების სისტემასთან დაკავშირებით მიუთითეთ ხარვეზები/შეუსაბამოებები და შესაძლო მაკორექტირებელი ქმედებები.	
შეუსაბამობა - მაკორექტირებელი ქმედება -	

6. შეუსაბამობები და მაკორექტირებელი ქმედებები		
შეუსაბამობა	შეთავაზებული მაკორექტირებელი ქმედება ან სანქცია	შესრულების ვადა
7. ინსპექტირებისას ხელმიუწვდომელი დოკუმენტები და ადგილები, მათ შორის სათავსები		
ჩამოთვალეთ შიდა ინსპექტირებისას ხელმიუწვდომელი დოკუმენტაცია.		
8. შემაჯამებელი დასკვნა		
<p>შიდა ინსპექტირებისას აღმოჩნდა თუ არა ისეთი შეუსაბამობა, რომელიც ბიო სერტიფიცირების თვალსაზრისით ასოციაციის მხრიდან დაუყოვნებლივ რეაგირებას ან სასერტიფიკაციო ორგანოსთვის შეტყობინების გაგზავნას მოითხოვს?</p> <p>დადებითი პასუხის შემთხვევაში დეტალურად აღწერეთ შეუსაბამობა.</p>		<p>დიახ <input type="checkbox"/></p> <p>არა <input type="checkbox"/></p>

ინსპექტირების ჩატარების თარიღი:	
ინსპექტირების ანგარიშის მომზადების თარიღი:	
შიდა ინსპექტორის ხელმოწერა:	

9. დანართები (მიუთითეთ შიდა ინსპექტირებისას მოპოვებული ყველა დოკუმენტი/ჩანაწერი/მტკიცებულება/ფოტო)	დანართის N

დანართი 5 - რისკის შეფასების ფორმა

ბიოსერტიფიცირების ჯგუფის წევრის სახელი

N	შესაძლო რისკი	რისკვაქტორის შეფასება		
		მაღალი	საშუალო	დაბალი
1	ბიოპროდუქციის არასერტიფიცირებულ პროდუქციასთან შერევის რისკი	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
2	ნებისმიერი სხვა სახის პროდუქტით ბიოპროდუქციის დაბინძურების რისკი	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
3	სარეცხი საშუალებების ან სხვა მასალებით ბიოპროდუქციის დაბინძურების რისკი.	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
4	გენმოდიფიცირებული ინგრედიენტების გამოყენების რისკი.	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
5	დასაწყობებისას ბიოპროდუქციის დაბინძურების რისკი.	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
6	მფლობელობის შეცვლით ბიოწარმოების კუთხით გამოწვეული რისკი.	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
7	მეურნეობას/მარანს გააჩნია შეუსაბამოები ან მან მიიღო საჩივარი მომხმარებლისგან ან სხვა დაინტერესებული მხარისგან ან მის მიმართ მოქმედებს სანქცია, რომელიც გაიცა წინა ან მიმდინარე სასერტიფიკაციო წელს.	<input type="checkbox"/> დიახ (მაღალი) <input type="checkbox"/> არა (დაბალი)		
8	არ მომხდარა წინა ინსპექტირებისას დაწესებული მაკორექტირებელი ქმედებების შესრულება.	<input type="checkbox"/> დიახ (მაღალი) <input type="checkbox"/> არა (დაბალი)		
9	პარალელური წარმოება	<input type="checkbox"/> დიახ (მაღალი) <input type="checkbox"/> არა (დაბალი)		
10	ასოციაციის სახელმძღვანელოს / გრინ კაუკაზუსისბიოსტანდარტის ცოდნა	ცუდი (მაღალი) <input type="checkbox"/>	საშუალო (საშუალო) <input type="checkbox"/>	კარგი (დაბალი) <input type="checkbox"/>

შიდა ინსპექტორის ხელმოწერა: _____

თარიღი: _____

დანართი 6 - ინსპექტირების შემაჯამებელი ანგარიში

1. ასოციაციის წევრის მონაცემები				
ასოციაციის წევრის დასახელება და იურიდიული სტატუსი:				წარმოების ტიპი: <input checked="" type="checkbox"/> მევენახეობა <input checked="" type="checkbox"/> მეღვინეობა
პასუხისმგებელი პირი:				
პასუხისმგებელი პირის საკონტაქტო ინფორმაცია:	მისამართი			
	ტელეფონი			
	ელ. ფოსტა			
შიდა ინსპექტირების პერიოდი:		შემაჯამებელი ანგარიშის მომზადების თარიღი:		
2. ინსპექტირების სახეობა და ჯგუფის წევრების რაოდენობა				
<input type="checkbox"/> პირველადი ინსპექტირება		<input checked="" type="checkbox"/> წლიური ინსპექტირება		<input type="checkbox"/> გაუფრთხილებელი ინსპექტირება
ჯგუფის წევრების რაოდენობა:		1	ინსპექტირებული მეურნეობების/მარნების რაოდენობა:	1
3. წინა ინსპექტირების შეუსაბამობები/ხარვეზები და მათი გამოსწორების სტატუსი				
N	ასოციაციის წევრის დასახელება	დაფიქსირებული შეუსაბამობა	მაკორექტირებელი ქმედება	შესრულება / გამოსწორება
4. მიმდინარე ინსპექტირებისას დაფიქსირებული შეუსაბამობები				
N	ასოციაციის წევრის დასახელება	დაფიქსირებული შეუსაბამობა	მაკორექტირებელი ქმედება	შესრულების ვადა
5. მიუწვდომელი (დასაზუსტებელი ანდა დამატებით გამოსაგზავნი) ინფორმაცია:				
6 ხარვეზი:				

7	ხარისხის მენეჯერის ხელმოწერა:
---	-------------------------------

დანართი 7 - შიდა ინსპექტირების შეფასების კითხვარი

შეფასების კრიტერიუმი	პასუხი		პასუხის დასაბუთება
	დიახ	არა	
ფიქრობთ თუ არა, რომ შიდა ინსპექტორი სწორად იყო შერჩეული?			
საჭიროა თუ არა ძირეული ცვლილებები შემდეგი შიდა ინსპექტირებისთვის?			
შიდა ინსპექტირების თარიღი იყო თუ არა თქვენთან წინასწარ შეთანხმებული?			
შიდა ინსპექტორი გაესაუბრა თუ არა შესაბამის პასუხისმგებელ პირებს?			
შიდა ინსპექტორმა შეამოწმა თუ არა თქვენი მეურნეობის/მარნის დოკუმენტები/ჩანაწერები?			
უპასუხეს თუ არა შიდა ინსპექტორმა თქვენს მიერ დასმულ შეკითხვებს?			
შიდა ინსპექტორის ქცევაში იყო თუ არა რაიმე ისეთი, რაც თქვენ არ მოგეწონათ?			